ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/97

ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი 31 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - **იოსებ ბრეგვაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი ლუბლიანას ქ. N18/20 ტელ: 251-68-99.
საიდენტიფიკაციო კოდი: 202193544
საბანკო რეკვიზიტები: სს „კორს სტანდარტბანკი"
ბანკის კოდი: AGREGE22
IBAN: GE28KS0000000166443001
(შემდგომში „მიმწოდებელი")

ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის N2061 განკარგულება.

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის მოკვლევის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ თავისუფლება აღკვეთილ პირთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
- **<u>გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა მომსახურებების შესყიდვა.</u>**
- **CPV კოდი - 85100000 - ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები**

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **<u>30 000,00 ლარს (ოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი).</u>**

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი გასაწევ მომსახურებაზე, რათა დარწმუნდეს მომსახურების ხარისხში.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **კახაბერ იშხნელი.**

4. **მომსახურების გაწევის პირობები**

4.1 მომსახურება გაწეულ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი ლუბლიანას ქ. N18/20 - შპს „აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"**

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან, შემსყიდველისათვის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს მომსახურების გაწევა საკუთარი ხარჯებით.

4.3 მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან **2013 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

5. **შესყიდვის ობიექტის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი.**

5.1 მომსამომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ან/და წარმოდგენილი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.2 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს საქართველოს სასჯელარსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან ხელს მოაწერს იმ სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის უფროსი ექიმი ან სამკურნალო დაწესებულების მთვარი ექიმი, რომელი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდანაც მოხდება პატიმრის გაყვანა, მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი გადაეცემა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს, რომელიც შემოწმების შემდეგ შესაბამისი ხელმოწერით დაადასტურებს აქტის სისწორეს.

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

6.1 დაფინანსების წყარო: 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

6.2 „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.4 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მითითებულია დანართში N1 - პრეისკურანტი.

6.5 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ან/და წარმოდგენილი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაცია.

6.6 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.

7. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

7.1 ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე, არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გაუწიოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თავისუფლებაღკვეთილ პატიმარს პროფილის ფარგლებში სპეციალისტის საკონსულტაციო, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების, ამბულატორიული მკურნალობის, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევების და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა რიგგარეშე მომსახურება.

7.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

7.4 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

7.5 უმოკლეს ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულების თავისუფლება აღკვეთილ პატიმრების ჯანდაცვის მომსახურბაზე გაწეული დანახარჯების შესახებ, ელექტრონული ან/და დოკუმენტალური სახით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7.6 ხელშეკრულების ფარგელბში მოითხოვოს გაწეული მომსახურების თანხის ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ანაზღაურება.

8. „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1 მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე გონივრულ ვადაში.

8.2 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.3 უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის **<u>გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.</u>**

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ დღეზე მათ მიერ ვალდებულებების არაჯეროვანი შერულების დასრულებამდე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. **ხელშეკრულების ენა**

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

15. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს <u>2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</u>

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	**შპს „აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“**
გრიგოლ გიორგაძე	იოსებ ბრეგვაძე

პრეისკურანტი

შპს „აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“

ნეონატოლოგია			
#	კოდი	დასახელება	ტარიფი
1	S0NEO1	ახ.რეანიმაციის საწოლ დღე	450.00
2	S0NEO2	ახ. ინტენსიური თერაპიის საწოლ დღე	300.00
3	S0NEO3	ახ. ნეონატოლოგიის საწოლ დღე	100.00
4	S0NEO4	დისტრეს სინდრომის მკურნალობა სურფაქტანტით	1,302.00

ორთოპედია-ტრავმატოლოგია					
#	კოდი	ნოზოლოგია	ს/დ	ან-ოპ	ფასი
1	S32	კონსერვატიული მკურნალობა	1	-	110.00
2	S53.0.1	იდაყვის ძვალი, დიაფიზი, რეპოზიცია იმობილიზაცია თაბაშირის ნახვევით	2	M1-I	680.00
3	S53.0.2	იდაყვის ძვალი, დისტალური ეპიფიზი, რეპოზიცია იმობილიზაცია თაბაშირის ნახვევით	2	M1-I	680.00
4	S53.0.3	იდაყვის ძვალი, სადგისებური მორჩი, იმობილიზაცია თაბაშირის ნახვევით	2	M1-I	680.00
5	S72	ბარძაყის ძვალი, ყელის მოტეხილობა, ჩონჩხოვანი დაჭიმვა, იმობილიზაცია დეროტაციული ნახვევით	1	-I	460.00
6	S72.0	ბარძაყის ძვალი დიაფიზური მოტეხილობა, ჩონჩხოვანი დაჭიმვა	1	-I	460.00
7	S82	წვივის დიდი ძვალი,მედიალური ლატერალური როკის მოტეხილობა, ჩასწორება დახურული წესით, იმობილიზაცია თაბაშირის ნახვევით	2	M1-I	680.00
8	S82.0	წ.დ.ძ.დიაფიზის მოტეხილობა, ჩონჩხოვანი დაჭიმვა	2	M1-I	680.00
9	S90	გოჯები, მედიალური ლატერალური, ჩასწორება დახურული წესით, იმობილიზაცია თაბაშირის ნახვევით	2	M1-I	680.00
10	S93	ქუსლის კოჭის ძვალი, მოტეხილობა, ამოვარდნილობით ან ამოვარდნილობის გარეშე,იმობილიზაცია თაბაშირის ნახვევით	2	M1-I	680.00
11	S56	იდაყვის ამოვარდნილობა, ჩაყენება, მკურნალობა კონსერვატიულად	2	M1-I	680.00
12	S62	მაჯის და მტევნის ძვლების ამოვარდნილობა,ჩაყენება კონსერვატიული მკურნალობა	2	M1-I	680.00
13	S73	ბარძაყის ძვლის თავის ამოვარდნილობა, ჩაყენება, ჩონჩხოვანი რბილი დაჭიმვა	2	M1-I	680.00
14	S83	მუხლის ამოვარდნილობა, ჩაყენება, მკურნალობა კონსერვატიულად	2	M1-I	680.00
15	S93.0	კოჭ-წვივის ამოვარნილობა, ჩაყენება, მკურნალობა კონსერვატიულად	2	M1-I	680.00
16	M84	ტრეპან-ბიოფსია	2	M1-I	680.00
17	M34	კონტრაქტურა,რედრესაცია,მკურნალობა კონსერვატიულად	2	M1-I	680.00
18	T09.1	ჭრილობის პირველადი და მეორადი ქირურგიული დამუშავება	2	M1-I	680.00
19	M21	ლავიწის ძვალი სამხრე-სამკერდე ბოლო, რეპოზიცია დახურული წესით, ფიქსაცია ჩხირებით	2	M1-I	680.00
20	T11.1	იმპლანტის ამოღება ხანდაზმული ოსტეოსინთეზის შემდგომ ან ანატომიურად რთული მიდამოდან	3	M2-II	1,400.00
21	S96	აქილევსის მყესის დაჭიმულობით გამოწვეული დეფორმაციები-აქილოპლასტიკა	3	M2-II	1,400.00
22	T10	მადელუნგის დეფორმაცია-სხივის ძვლის ირიბი ძვალკვეთა	3	M2-II	1,400.00
23	S79	ბ.ც.დ. სპასტიკები-ეგერსი	3	M2-II	1,400.00
24	Q74	თანდაყოლილი კისერმრუდობა-მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის რეზექცია	3	M2-II	1,400.00
25	M75.1	მხრის თავის დეფორმაცია-საკორექციო ოსტეოტომია ფიქსაცია ლითონის ფირფიტით	3	M2-II	1,400.00
26	M51.1	მალის ამოვარდნილობა (კონსერვატიული მკურნალობა}	3	M2-II	1,400.00
27	S33.0.1	ხერხემლის დაჭიმვა ჰალოაპარატით	3	M2-II	1,400.00
28	Q67.0	მკერდ-ლავიწის დვრილისებრი კუნთის გადაკვეთა (კისერმრუდობის დროს}	3	M2-II	1,400.00

29	S39	კუდუსუნის რეზექცია	3	M2-II	1,400.00
30	S99	მტევანზე/ტერფზე აპარატის დადება დახურული წესით	3	M2-II	1,400.00
31	M68	მყესების ტენოლიზი	3	M2-II	1,400.00
32	S96.1	გამშლელი ან მომხრელი მყესის აღდგენა მტევნის/ტერფის დონეზე	3	M2-II	1,400.00
33	L99	კანის პლასტიკა ადგილობრივი რესურსები (დაჭიმული კანი}	3	M2-II	1,400.00
34	Q66	მტევნისა დატერფის დამატებითი ძვლები, ფალანგები რეზექცია	3	M2-II	1,400.00
35	C49	მტევნის/ტერფის თითების რბილქსოვილოვანი სიმსივნეები	3	M2-II	1,400.00
36	Q66.1	ქუსლის ძვლის დეზი, რეზექცია	3	M2-II	1,400.00
37	C40	მტევნის/ტერფის ძვლოვანი სიმსივნეები, რეზექცია	3	M2-II	1,400.00
38	T10.1	სხივის ძვალი, დისტალური ეპიზი, რეპოზიცია, შიდა ფიქსაცია ჩხირებით დახურული წესით	3	M2-II	1,400.00
39	T10.1.1	სხივის ძვალი, დისტალური ეპიზი, ფიქსაცია დისტრაქციული აპარატით	3	M2-II	1,400.00
40	M22	კვირისტავი, პატელექტომია ან ნაწილობრივი რეზექცია	3	M2-II	1,400.00
41	S73.1	მენჯის ძვლების მოტეხილობა, კონსერვატიული მკურნალობა, (ჩონჩხოვანი დაჭიმვა,დ.წ.ძ.ბორცვიდან და ბარძაყის ძვლის ტროქანტერული უბნიდან}	3	M2-II	1,400.00
42	Q89	ეგზოსტოზის მოცილება, ექსკოხლეაცია	3	M2-II	1,400.00
43	G71	მიო/ტენოტომია კაფსულოტომია	3	M2-II	1,400.00
44	Q77.1	გრძელი ძვლების დიაფიზის ოსტეოკლაზია, რეპოზიცია იმობილიზაცია	3	M2-II	1,400.00
45	S68	ამპუტაცია მტევნის/თითების დონეზე	3	M2-II	1,400.00
46	S98	ამპუტაცია ტერფის დონეზე	3	M2-II	1,400.00
47	S43.1	მხრის სახრის ართროსკოპია, დიაგნოსტიკა	3	M2-II	1,400.00
48	S43.1.1	მხრის სახსრის ართროსკოპია, თაგვის ამოღება	3	M2-II	1,400.00
49	S71	მენჯგარეთა ობტურატორომია, ამბუქტორომია	3	M2-II	1,400.00
50	S49.1.1	ლავიწის ძვლის ორფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ოსტეოსინტეზი	3	M2-II	1,400.00
51	T92	სხივის ძვალი თავი, ღია რეპოზიცია, შიდა ფიქსაცია	3	M2-II	1,400.00
52	T92.1	სხივის ძვალი, თავი, რეზექცია	3	M2-II	1,400.00
53	T92.1.1	სხივის ძვლის/ იდაყვის ძვლის დიაფიზის ორფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ოსტეოსინთეზი	3	M2-II	1,400.00
54	T92.1.2	სხივის ძვლის/ იდაყვის ძვლის დიაფიზის მოტეხილობები-ღია დახურილი რეპოზიცია, აპარატის დადება	3	M2-II	1,400.00
55	S53	სხივის/იდაყვის ძვალი, მორჩი, ღია რეპოზიცია, შიდა ფიქსაცია	3	M2-II	1,400.00
56	S53.1.2	სხივის ძვალი, დისტალური ეპიფიზის დაზიანება, ღია რეპოზიცია, შიდა ფიქსაციაl	3	M2-II	1,400.00
57	S72.1	ბარძაყის თავის ამოვარდნილობა,ჩაყენება დახურული წესით (ენდოპროტეზირების შემდგომი პერიოდი)	3	M2-II	1,400.00
58	M23	კვირისტავი, რეპოზიცია ღია წესით, შიდა ფიქსაცია/აპარატის დადება (გრაიფენშტეინერი}	5	M3-III	2,550.00
59	M90	ოსტეოეფიზიოლიზი, ღია/დახურული რეპოზიცია შიდა ფიქსაცია	3	M2-II	1,400.00
60	M25	მსხვილი სახსრების სადიაგნოსტიკო, სამკურნალო ართროტომია	3	M2-II	1,400.00
61	T13.1	დელტისებური იოგის პლასტიკა	3	M2-II	1,400.00
62	S93.1	კოჭ-წვივის სახსრის სინოვექტომია	3	M2-II	1,400.00
63	M23.1	მუხლის სახსრის ართროსკოპია, ბიოფსია, მენისკექტომია, თაგვის ამოღება,ლატერალური დამჭერის კვეთა, ხრტილოვანი ზედაპირის დამუშავება, ტუნელიზაცია რომელიმე ერთ-ერთი მანიპულაცია	3	M2-II	1,400.00
64	S92.1	მტევნის/ტერფის ლულოვანი ძვლების მოტეხილობა-ღია რეპოზიცია, შიდა ფიქს.	3	M2-II	1,400.00
65	S63	მტევნის პერილუნალური ამოვარდნილობა, ფალანგთა ამოვარდნილობა-ჩასწორება ღია წესით (ახალი}	3	M2-II	1,400.00
66	L98	კანის პლასტიკა, თავისუფალი	3	M2-II	1,400.00
67	G73	შუათანა ნერვის კომპრესიული ნეიროპათია მაჯის არხში-მაჯს არხის სინდრომი (carpaltunnel syndrome}-მაჯის მომხრელი მყესების საბმელის კვეთა(ღია წესით}	3	M2-II	1,400.00
68	T11.1.2	ბეჭის ძვლის კუთხის რეზექცია	3	M2-II	1,400.00
69	T09.1.3	დისტრაქტორის ამოვარდნილი კავის შესწორება	3	M2-II	1,400.00
70	T14.1.1	დეკერვენის დაავადება: მყესბუდის გახსნა	3	M2-II	1,400.00
71	M46	მასტენოზირებელი ლიგამენტიტი: "ტკაცუნა თითი", იოგის კვეთა	3	M2-II	1,400.00
72	T11.1.3	მადელუნგის დეფორმაცია-სხივის ძვლის ირიბი ძვალკვეთა აპარატის დადებით	5	M3-III	2,550.00
73	S44.1.1	მხრის წნულის დამბლა-დელტისებური კუნთის მიოლავსანოპლასტიკა, სავარიო-ტიდვალდის და ტიუბის ოპერაცია	5	M3-III	2,550.00
74	S79.1	ბ.ც.დ.-მენჯშიდა ობტურატორომია	5	M3-III	2,550.00

75	S59	შპრენგელის დაავადება ბეჭის ძვლის მაღალი დგომა-ბეჭის ძვლის ტანსპოზიცია-ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
76	S49.1	მხრის ძვლისა და ბარძაყის ძვლის დაგრძელება	5	M3-III	2,550.00
77	S44.1.2	მხრის წნულის დამბლა-ზინოვის ოპერაცია	5	M3-III	2,550.00
78	M47	უკანა სპონდილოდეზი	5	M3-III	2,550.00
79	T08	ხერხემლის ფიქსაცია მეტალოკონსტრუქციით	5	M3-III	2,550.00
80	Q67.1	ნეკნოვანი კუზის პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
81	S56.1	მყესებისა და ნერვების აღდგენა	5	M3-III	2,550.00
82	M84.1	ნავისებური ძვლის ოსტეოსინთეზი	5	M3-III	2,550.00
83	Q66.1.1	მტევნის/ტერფის დეფორმაციები	5	M3-III	2,550.00
84	S99.1.1	მტევნის/ტერფის ძვლების პათოლოგიური კერის რეზექცია	5	M3-III	2,550.00
85	S93.1.1	მტევნის/ტერფის დამაგრძელებელი ძვალკვეთა აპარატის დადებით	5	M3-III	2,550.00
86	S94	მტევნის/ტერფის ნერვების აღდგენა	5	M3-III	2,550.00
87	C40.1	მტევნის/ტერფის ძვლოვანი და რბილქსოვილოვანი სიმსივნეები, ჩანაცვლება აუტოტრანსპლანტანტით	5	M3-III	2,550.00
88	S41	ლავიწის ძვალი, სამხრე/სამკედრე ბოლო, რეპოზიცია ღია წესით, შიდა ფიქსაცია(24ლ ჩხირი)	5	M3-III	2,550.00
89	S22.1	ნეკნები, ღია რეპოზიცია, შიდა ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
90	M75.1.1	მხრის ძვალი, ბორცვი, ღია რეპოზიცია შიდა ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
91	M75.1.3	მხრის ძვალი, დიაფიზი, აპარატის დადება დახურული წესით	5	M3-III	2,550.00
92	M75.1.4	მხრის ძვლის დიაფიზის ორფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ოსტეოსინთეზი	5	M3-III	2,550.00
93	M75.1.5	მხრის ძვალი, როკი, კომპრესიულ-დისტრაქციული აპარატის დადება	5	M3-III	2,550.00
94	S70	ბარძაყის ძვალი, ტროქანტერული ან სუბტროქანტერული მოტეხილობა, ოსტ. შიდა.ფიქს	5	M3-III	2,550.00
95	S70.1	ბარძაყის ძვალი, სუბკაპიტალური მოტეხილობა, ჰემოართროპლასტიკა	5	M3-III	2,550.00
96	S70.1.1	ბარძაყის ძვალი, ეპიფიზის მოტეხილობა, ჰემიართროპლასტიკა	5	M3-III	2,550.00
97	S70.1.2	ბარძაყის ძვლის დიაფიზის ორფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ოსტეოსინთეზი	5	M3-III	2,550.00
98	S70.1.4	ბარძაყის ძვალი, როკებზედა მოტეხილობა, ღია რეპოზიცია შიდა ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
99	S80.1	წ.დ.ძ.მედიალური/ლატერალური როკის მოტეხილობა, ღია რეპოზიცია შიდა ფიქს	5	M3-III	2,550.00
100	S80.1.2	წ.დ.ძ.ორფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ოსტეოსინთეზი	5	M3-III	2,550.00
101	S80.1.3	წ.დ.ძ.დიაფიზი, შიდა ფიქსაცია, მცირე წვივის ძვლის ფიქსაციით	5	M3-III	2,550.00
102	S99.1.2	წვივის ორი გოჯის მოტეხილობა ან შესაბამისი იოგების გაგლეჯა, ოსტეოსინთეზი, იოგის აღდგენა	5	M3-III	2,550.00
103	S73.1.1	სიმფიზის დაზიანება, ღია რეპოზიცია შიდა ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
104	S43.1.2	მხრის თავის ამოვარდნილობა,ოპერაციული მკურნალობა	5	M3-III	2,550.00
105	S43.1.5	მხრის სახსრის არასტაბილურობა, ზანკარტის პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
106	S43.1.4	იდაყვის ამოვარდნილობა, ჩაყენება, მკურნალობა კონსერვატიულად	5	M3-III	2,550.00
107	S63.1	მაჯის და მტევნის და ტერფის, ნებისა და მეტატარზალური ძვლების ამოვარდნილობა, ოპერაციული ჩაყენება	5	M3-III	2,550.00
108	S73.1.2	ბარძაყის ძვლის თავის ამოვარდნილობა,ჩაყენება ღია წესით	5	M3-III	2,550.00
109	S93.1.2	კოჭ-წვივის ამოვარდნილობა, ჩაყენება, ოპერაციული მკურნალობა	5	M3-III	2,550.00
110	Q77.1.1	მხრის სახსრის ოსტეოართროზი, ერთპოლუსიანი ენდოპროტეზირება	5	M3-III	2,550.00
111	Q77.1.2	მენჯ-ბარძაყის სახსრის ოსტეოართროზი, ერტპოლუსიანი ენდოპროტეზირება	5	M3-III	2,550.00
112	Q77.1.3	მენჯ-ბარძაყის სახსრის ოსტეოართროზი, საკორექციო ძვალკვეთა	5	M3-III	2,550.00
113	M17	მუხლის სახსრის ოსტეოართროზი, ტოტალური ენდოპროტეზირება	5	M3-III	2,550.00
114	M25.1	ოსტეოეპიფიზიოლიზი, ღია/დახურული, რეპოზიცია, შიდა ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
115	M89	გრძელი ძვლის დიაფიზის დეფექტის პლასტიკა ტრანსპლანტანტით	5	M3-III	2,550.00
116	M89.1	გრძელი ძვლების დიაფიზის დეფექტი,ბილოკალური ოსტეოსინთეზი ილიზაროვის აპარატით	5	M3-III	2,550.00
117	S49.1.2	მხრის ძვლის დამოკლება, დისტრაქციული აპარატის დადება	5	M3-III	2,550.00
118	S50	წინამხრის ძვლის დამოკლება, დისტრაქციული აპარატის დადება	5	M3-III	2,550.00
119	S79.1.1	ბარძაყის ძვლის დამოკლება, დისტრაქციული აპარატის დადება	5	M3-III	2,550.00
120	S82.1	წვივის ძვლების დამოკლება, დისტრაქციული აპარატის დადება	5	M3-III	2,550.00
121	M14	კონტრაქტურა, ართროლიზი	5	M3-III	2,550.00
122	S89	წვივის ძვლების შემოვლითი პოლისინოსტოზი	5	M3-III	2,550.00

124	S78	ამპუტაცია, ბარძაყის დონეზე	5	M3-III	2,550.00
125	S88	ამპუტაცია წვივის დონეზე	5	M3-III	2,550.00
126	S48	ამპუტაცია მხრის დონეზე	5	M3-III	2,550.00
127	S58	ამპუტაცია წინამხრის დონეზე	5	M3-III	2,550.00
128	T14.1.2	მუხლის სახსრის ეგზარტიკულაცია	5	M3-III	2,550.00
129	S48.1	მხრის სახსრის ეგზარტიკულაცია	5	M3-III	2,550.00
130	S58.1	იდაყვის სახსრის ეგზარტიკულაცია	5	M3-III	2,550.00
131	S68.1	სხივ-მაჯის სახსრის ეგზარტიკულაცია	5	M3-III	2,550.00
132	S88.1	კოჭ-წვივის სახსრის ეგზარტიკულაცია	5	M3-III	2,550.00
133	S88.1.1	წვივის ძვალ-პლასტიკური ამპუტაციები (პირაგოვი,გრიტი}	5	M3-III	2,550.00
134	T05	რეამპუტაცია	5	M3-III	2,550.00
135	S88.1.2	სეკვესტრექტომია ღრუს დაბჟენით	5	M3-III	2,550.00
136	M75.1.6	მხრის სახსრის ართროსკოპია,აკრომიოპლასტიკაროტატორული სარტყელის აღდგენა	5	M3-III	2,550.00
137	S59.1	იდაყვის სახსრის ართროსკოპია,დიაგნოსტიკა	5	M3-III	2,550.00
138	S73.2	მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროსკოპია,დიაგნოსტიკა	5	M3-III	2,550.00
139	S73.1.3	მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროსკოპია,თაგვის ამოღება,ხრტილის დამუშავება	5	M3-III	2,550.00
140	M23.1.1	მუხლის სახსრის ართროსკოპია,ბიოპსია,მენისკექტომია,თაგვის ამოღება,ლატერალური დამჭერის კვეთა,ხრტილოვანი ზედაპირის დამუშავება,ტუნელიზაცია-რომელიმე ორი ან მეტი მანიპულაცია	1	M3-III	1,215.00
141	M23.1.2	მუხლის სახსრის ართროსკოპია,ტოტალური სინოვექტომია	5	M3-III	2,550.00
142	M23.1.3	მუხლის სახსრის ართროსკოპია ნაწიბურებისგან განთავისუფლება,ოთხთავა კუნთის ათიშვა	5	M3-III	2,550.00
143	S90.1	კოჭ-წვივის ართროსკოპია დიაგნოსტიკა	5	M3-III	2,550.00
144	S90.1.1	კოჭ-წვივის სახსრის ართროსკოპია,სინოვექტომია,თაგვის ამოღება,ხრტილის დამუსავება,რუდიმენტული იოგის რეზექცია,რომელიმე ერთ-ერთი პროცედურა	5	M3-III	2,550.00
145	S90.1.2	კოჭ-წვივის სახსრის ართროსკოპია,სინოვექტომია,თაგვის ამორება,ხრტილის დამუშავება,რუდიმენტული იოგის რეზექცია,რომელიმე ორი ან მეტი პროცედურა	5	M3-III	2,550.00
146	M23.1.4	მუხლის სახსრის ართროტომია,მენისკექტომია	5	M3-III	2,550.00
147	M23.1.5	მუხლის სახსრის ართროტომია,ტოტალური სინოვექტომიამუხლის სახსრის გვერდითი იოგების პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
148	M23.1.6	მუხლის სახსრის გვერდითი იოგების პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
149	M23.1.7	მუხლის სახსრის გამშლელი აპარატის რეკონსტრუქცია(ოთხთავა კუნთის აღდგენა/პლასტიკა კვირისტავის საკლუთარი იოგის აღდგენა}	5	M3-III	2,550.00
150	M23.2.1	მუხლის სახსრის აღდგენა რეკონსტრუქცია,საკორექციო ძვალკვეთა(ბარძაყის ან წვივის დონეზე)	5	M3-III	2,550.00
151	S58.1.1	იდაყვის სახსრის ართროდეზი	5	M3-III	2,550.00
152	S63.1.1	სხივ-მაჯის სახსრის ართროდეზი	5	M3-III	2,550.00
153	S90.1.3	კოჭ-წვივის სახსრის ართროდეზი	5	M3-III	2,550.00
154	S93.1.3	მტევნისა და ტერფის სახსრების ართროდეზი	5	M3-III	2,550.00
155	T09.2.1	გამშლელი მყესების პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
156	S64	შუათანა ნერვის კომპრესიული ნეიროპათია მაჯის არხში-მაჯს არხის სინდრომი (carpaltunnel syndrome}-მაჯის მომხრელი მყესები საბმელის კვეთა ღია წესით და ნევროლიზი	5	M3-III	2,550.00
157	S69	რეკონსტრუქციული ოსტეოსინთეზი მტევნისა და ტერფის დონეზე	5	M3-III	2,550.00
158	S68.1.1	სხივ-მაჯის სახსრის ნაწილობრივი ართროდეზი	5	M3-III	2,550.00
159	S63.2.1	ართროდეზები მაჯის ძვლებს(ინტერკარპალური}შორის	5	M3-III	2,550.00
160	S69.1	ართროადეზები მტევნისა და ტერფის დონეზე	5	M3-III	2,550.00
161	S54	კომპრესიული ნეიროპათიები იდაყვის სახსრის დონეზე(შუათანა,იდაყვის,სხივის ნერვების}-ნევროლიზი	5	M3-III	2,550.00
162	S52.1	წინამხრის ძვლების, მტევნისა და ტერფის ძვლების მოტეხილობა-ოსტეოსინთეზი,შიდა ფიქსაცია	5	M3-III	2,550.00
163	S23	მკერდის ძვლის დეფორმაცია-ტრანპოზიცია	6	M4-IV	3,000.00
164	S32.1	ხერხემლის კორექცია სხვადასხვა მეტალოკონსტრუქციით(სკოლიოზი,კიფოზი}	6	M4-IV	3,000.00
165	D16	კეთილთვისებიანი სიმსივნეების რეზექცია	6	M4-IV	3,000.00
166	M51.1.1	მალთაშუა დისკის თიაქარის რეზექცია	6	M4-IV	3,000.00
167	M50.1.1	ამოვარდნილი მალის ჩაყენება და ფიქსაცია	6	M4-IV	3,000.00
168	S62.1	მტევნის/ტერფის ძვლების პლასტიკა	6	M4-IV	3,000.00
169	M67.1	მომხრელი მყესების და ნერვების პლასტიკა	6	M4-IV	3,000.00

170	S63.2.2	წინამხრის, მტევნისა და ტერფის ძვლებისა და სხივ-მაჯის სახსრის რეკონსტრუქციული ოპერაციები	6	M4-IV	3,000.00
171	S63.2.3	სხივმაჯის, მტევნის/ტერფის სახსრების დაზიანებები-ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
172	Q66.1.2	წინამხრის მტევნისა დატერფის შეძენილი და თანდაყოლილი დეფორმაციები-რეკონსტრუქციული ოპერაციები	6	M4-IV	3,000.00
173	S40.1	ბეჭის ძვალი,ღია რეპოზიცია,შიდა ფიქსაცია	6	M4-IV	3,000.00
174	S40.1.1	მხრის ძვალი,დისტალური მეტაეპიფიზი,დამსხრეული მოტეხილობა,რეპოზიცია ღია წესით,შიდა ფიქსაცია	6	M4-IV	3,000.00
175	M91	ბარძაყის ძვალი,სუბკაპიტალური მოტეხილობა,ტოტალური ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
176	M91.1	ბარძაყის ძვალი,ეპიფიზის მოტეხილობა,ტოტალური ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
177	M91.1.1	ბარძაყის ძვალი,როკების უბანი,სახსარშიდა მოტეხილობა,ღია რეპოზიცია შ ფიქს	6	M4-IV	3,000.00
178	S43.2.1	მხრის თავის ხანდაზმული ამოვარდნილობა,ოპერაციული მკურნალობა	6	M4-IV	3,000.00
179	S53.2	იდაყვის ხანდაზმული ამოვარდნილობა,ოპერაციული მკურნალობა	6	M4-IV	3,000.00
180	S63.2	მაჯის, მტევნისა და ტერფის ძვლების ხანდაზმული ამოვარდნილობა, ოპერაციული ჩაყენება	6	M4-IV	3,000.00
181	S73.2.1	ბარძაყის ძვლის თავის ხანდაზმული ამოვარდნილობა,ჩაყენება ღია წესით	6	M4-IV	3,000.00
182	S83.2	მუხლის ამოვარდნილობა,ოპერაციული ჩაყენება(იოგების პლასტიკა}	6	M4-IV	3,000.00
183	S43.2.2	მხრის სახსრის ოსტეოართროზი,ტოტალური ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
184	S53.2.1	იდაყვის სახსრის ოსტეოართროზი,ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
185	S73.2.2	მენჯ-ბარძაყის სახსრის ოსტეოართროზი,ტოტალური ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
186	S83.2.1	მუხლის სახსრის ოსტეოართროზი,ტოტალური ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
187	S99.2	კოჭ-წვივის სახსრის ოსტეოართროზი,ენდოპროტეზირება	6	M4-IV	3,000.00
188	C40.1.1	სიმსივნის ექსკოხლეაცია/რეზექცია რთულ არეში	6	M4-IV	3,000.00
189	C40.1.2	გრძელი ძვლების დიაფიზის სიმსივნის რეზექცია,ჩანაცვლება ტრანსპლანტატით	6	M4-IV	3,000.00
190	S71.1	მენჯ-ბარძაყის სახსრის ეგზარტიკულაცია	6	M4-IV	3,000.00
191	M23.2	მუხლის სახსრის ართროსკოპია.წინა/უკანა ჯვარედინა იოგის პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
192	M23.2.2	მუხლის სახსრის ართროტომია,წინა/უკანა ჯვარედინა იოგის პლასტიკა	5	M3-III	2,550.00
193	S43.2	მხრის სახსრის ართროდეზი	6	M4-IV	3,000.00
194	S73.2.3	მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროდეზი	6	M4-IV	3,000.00
195	S83.2.2	მუხლის სახსრის ართროდეზი	6	M4-IV	3,000.00
196	S61.2	მტევნის/ტერფის სეგმენტების პლასტიკა	6	M4-IV	3,000.00
197	S61.3	მტევნის/ტერფის კანის პლასტიკა	6	M4-IV	3,000.00
198	S89.1	წვივის დიდი ძვლის პროქსიმალური მეტაეპიფიზის მოტეხილობა, ოსტეოსინთეზი	6	M4-IV	3,000.00
199	S52.2	სხივისა და იდაყვის ძვლების რეკონსტრუქციული ოსტეოსინთეზი	6	M4-IV	3,000.00
200	S59.2	სხივ-მაჯის სახსრის სრული ართროზი	6	M4-IV	3,000.00
201	M81	პათოლოგიური კერა-პათოლოგიური კერის რეზექცია ჩანაცვლება	6	M4-IV	3,000.00
202	M81.1	პათოლოგიური კერა-კერის მოცილება,ღრუს დამუშავება,ალოტრანსპლანტაცია	6	M4-IV	3,000.00
203	M81.2	პათოლოგიური კერის კიდოვანი რეზექცია პლომბირების გარეშე	6	M4-IV	3,000.00
204	M81.3	პათოლოგიური კერის რეზექცია ჩანაცვლება ტრანსპლანტატით	6	M4-IV	3,000.00
205	L98.1	კანის პლასტიკა მიკროქირურგიული ტექნიკის გამოყენებით	8	M5-V	4,600.00
206	M95	ძვლოვანი პლასტიკა მიკროქირურგიული ტექნიკის გამოყენებით	8	M5-V	4,600.00
207	S68.2	მტევნის/ტერფის სეგმენტების რემპლანტაცია	8	M5-V	4,600.00
208	S69.2	კან-კუნთოვანი-ძვლოვანი სეგმენტის რემპლანტაცია ორთოპედიულ დაავადებათა და დეფექტის დროს	8	M5-V	4,600.00
209	S73.3	მენჯის ძვლების მოტეხილობა, ღია რეპოზიცია შიდა ფიქსაცია	8	M5-V	4,600.00
210	S52.3	იდაყვის სახსრის სარევიზიო ენდოპროტეზირება(რეენდოპროტეზირება}	8	M5-V	4,600.00
211	S69.3	სხივ-მაჯის სახსრის სარევიზიო ენდოპროტეზირება(რეენდოპროტეზირება}	8	M5-V	4,600.00
212	S73.4	სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდგომი ინფექცია ინპლანტის მორყევით(დროებითი პროთეზი, ანტიბიოტიკით)	8	M5-V	4,600.00
213	S83.3	სარევიზიო ენდოპროტეზირება	14	M5-V	8,000.00